პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

ლიხვინელი

პირველ და მეორე ქართულ მხარეთა ლეგიონის პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მოწერათათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ.
6 თვ.—1 მ.70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის
კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

146 (1141) | ხუთშაბათი, 19 აგვისტო 1926 წ. | 146 (1141)

მანევრებზე განამტკიცე კავშირი მოსახლეობასთან

ეს ყველასათვის ნათელი საკითხია. პირველ შეხედვით თითქოს ზედმეტია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ წითელი ჯარის მუშაობის ეხლანდელ საფეხურს—მანევრებს, საჭირო გახდება ამ საკითხის დასმა.

და აი რატომ.

დღემდი წითელი ჯარის მოსახლეობასთან კავშირი გამოიხატებოდა მასში, რომ ხან გლეხები მოდიოდენ წითელ ყაზარმაში სტუმრად, ხან წითელი მეომრები ესტუმრებოდენ სანიფო სოფელს სათანადო ლიტერატურით, საბინტ და კულტურულ დახმარების გასაწევად. ეს იყო დღემდი მოსახლეობასთან დამოკიდებულება მშვიდობიან, დასვენებულ პირობებში.

სულ სხვაა მანევრების დროს. მანევრები—ეს იგივე ლაშქრობაა, საბრძოლო პირობებში ყოფნა. ამ დროს წითელი ჯარი გაივლის სოფლებს, მათ ყანებს, ბაღებს.

აქ შეხვედრა გლეხებთან ხდება სხვა პირობებში.

მებრძოლი ალაშქრად ყოფნის დროს ხშირად მუყურავდა, დაღლილია, მუდმივ გადასვლაში იყოფება. ამიტომ აქ მოსალოდნელია, რომ ის ნაკლებ ყურადღებით მოეკიდება გლეხის ნათმაგარს—ყანებს, თივით მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში ვერ გამოიჩენს საჭირო თავდაზიანობას და ამხანაგურ-მეგობრულ მოპყრობას.

აი რატომ ვსვამთ ჩვენ ამ საკითხს.

ჩვენ ამოცანას კი შეადგენს მანევრების დროს კიდევ უფრო გავამტკიცოთ მოსახლეობასთან კავშირი. ეს გარემოება თავის მხრივ მოითხოვს ყოველ მებრძოლისაგან, რაც შეიძლება მეტის სიფრთხილით და მზრუნველობით მოეპყრას მანევრების წარმოების დროს სოფლის ნაზრომს, ყანებს, ბაღებს, ითხფებს და სხვას. მისი გლეხთან დამოკიდებულება უნდა ხასიათდებოდეს როგორც კარგი მეგობრისა.

ამრიგად მანევრები გამოცდება იგრეთვე მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირის განმტკიცების მხრივ.

წითელი მებრძოლნი, რომლებიც მანევრებზე თავისი საუკეთესო მეგობრული დამოკიდებულებით კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდებიან გლეხებს, მომავალში ომის დროს არა ნაკლები წარმატებით ისინი შესძლებენ ასეთი მოპყრობით მოპირდაპირის მოსახლეობაში სიმპატიის დამსახურებას, რითაც ყოველთვის უზრუნველყოფენ წითელი არმიის გამარჯვებას.

საერთაშორისო ახალი პროვოკაციული კამპანია.

საბჭოთა კავშირის არსებობა მოსვენებას არ აძლევს კაპიტალისტურ მსოფლიოს.

ბურჟუაზია ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სახელმწიფო დღითი დღე ძლიერდება და მაგრდება პოლიტიკურად და ეკონომიურად.

ამიტომაც არის, რომ იმპერიალისტები ყოველგვარ ხრიკს და ბილწურ საშუალებას მიმართავენ, რომ როგორმე ხელი შეუშალონ გამარჯვებულ მუშებს და გლეხებს სოციალისტურ აღმშენებლობაში და შესუსტონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.

ამ ანტისაბჭოთა გალაშქრებაში პირველ როლს თამაშობს ინგლისის რეაქციონური ბურჟუაზია. დარმავიებული სიძულვილით და შურიგებლობით საბჭოთა კავშირისდმი, ის არავითარი ზომის წინაშე არ ჩერდება, რათა შექმნას მთლიანი იმპერიალისტური ფრონტი საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ხალხი გაუტეხოს მას და დასცეს მისი ავტორიტეტი ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მშრომელთა თვალში.

მაგრამ ამაოდ. არც ერთი ბაზიზარი ცდა არც ინგლისის და არც სხვა ქვეყნების ბურჟუებს არ გაუმართლდათ.

ყოველთვის კოყრი ნაცარში ჩაუვარდათ, მთლიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნა მათ ვერ შესძლეს, ვერც საბჭოთა სინამდვილის დაფარვა ვერ მოახერხეს.

მრავალმა უცხოეთის მუშათა დელეგატებმა საფუძვლიანად გაფანტეს ის ცილისწამებათა და სიცრუის ნისლი, რომლითაც დაფარეს საბჭოთა ცხოვრების სინამდვილე ბურჟუაზიის და სოციალ-გამყიდველების გაზეთებმა.

დასაღეთის მუშებმა უკვე იციან თუ რა არის საბჭოთა კავშირი და რა ცდილება იქ.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ამ უკანასკნელ ხანებში ევროპის ბურჟუაზიულ პრესამ კვლავ მიმართა პროვოკაციის ძველ ნაცად ხერხს. კვლავ მის ფურცლებზე გამოქვეყნდა ყალბი ცნობები საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის შესახებ. როგორია ეს ცნობები?

თითქოს წითელარმიაში და წითელ ფლოტში იფეთქა აჯანყებამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თითქოს სტალინი დასჭრეს, ტროცკისკი მოწამლეს, მოსკოვის ქუჩებში სისხლის ღვარს ადენს ადგილი და სხვა.

აი რას ავრცელებდა ბურჟუაზიული პრესა ამ უკანასკნელად. ამ საზიზღარი პროვოკაციული კამპანიის მიზანი ნათელია. ევროპის ბურჟუაზიას კვლავ სურს მოატყუოლოს თავისი მუშათა კლასი, ყალბი ცნობების საშუალებით დასცეს საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მის თვალში და მით ნიადაგი მოამზადოს მუშურ-გლეხური ქვეყნის წინააღმდეგ იარაღით ხელში საბრძოლველად.

აი რა სურს იმპერიალისტურ ბურჟუაზიას. მაგრამ არც ეს ხრიკი გაუვიდა. თვით ბურჟუაზიული გაზეთების უმრავლესობა იძულებული გახდა განეცხადებინა ამ ცნობების სიყალბე. არც ევროპის მუშათა კლასია ისე დაბრმავებული და სულელი, რომ დაიჯეროს ბურჟუაზიული გაზეთების მიერ შეთხზული საზიზღარი ჭორები. ამჟამად საბჭოთა კავშირში მოგზაურობენ მრავალი უცხოელი მუშათა დელეგაციები, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებისას კიდევ ერთხელ გამოამჟღავნებენ ბურჟუაზიის პროვოკაციას და მოუთხრობენ მუშებს ნამდვილ ამბავს საბჭოთა კავშირის ცხოვრების და მუშაობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი არ დაივიწყებენ ევროპის ბურჟუაზიის ამ ახალ პროვოკაციას და მეტის ენერგიით განაგრძობენ თავის აღმშენებლობით მუშაობას.

წითელი არმია კი ბურჟუაზიის ამ ახალ გამოლაშქრებას უპასუხებს თავისი რიგების მეტი შემეცნებით და საბრძოლო უნარის ამაღლებით.

—ე.

ინგლისის გაფიცულები გმირულად განაგრძობენ ბრძოლას

მთავრობა და მეპატრონეები ელოდებიან, როდის გასტეხს შიმშილი მუშათა ნებისყოფას.

მაღაროს მუშებმა დაადგინეს მტკიცედ დაიცვან ერთიანი ფრონტი და არავითარი ქვრძო შეთანხმებები არ დაუშვან.

რას ამბობს კუკი.

მთა-მადნის 12 ათასიან მუშათა კრებაზე მთა-მადნის მუშათა კავშირის მდივანმა კუკმა განაცხადა, რომ მას სწამს ლოზუნგი: „არცერთი გროშით სამუშაო ხელფასის დაკლება, არცერთი წუთით სამუშაო დღის გადიდება“.

მაგრამ მარტო რწმენა არ უზრუნველყოფს მის განხორციელებას.—ამჟამად მართალია ის, ვინც ლონიერია—ამბობს კუკი. ეს შეიძლებოდა მაშინ, როცა ჩვენ გვემხრობოდეს მთელი მუშათა მოძრაობა. ამ ძალის დაძლევა არ შეეძლებოდა არცერთ მთავრობას. მაგრამ ჩვენი არმია დასუსტებულია. რკინისგზელთა დამტვირთავთა გამცემელ-ბელადებმა ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას მეპატრონეებთან.

მთავრობა მეპატრონეების მხარეზეა.

მთავრობა რომ მუშების წინააღმდეგ არ მოქმედებდეს, მდგომარეობა სულ სხვაფერ იქნება. მაგრამ გაფიცულთა ოჯახებს უკვე ესპობა დახმარება.

შოტლანდიაში მემაღაროეთა ბავშვების 2 მესამედი არ ღებულობენ საჭმელს დღესასწაულებზე. მუშები ამბობენ—ჩვენ ვიბრძოლებთ, მაგრამ მოგვეცით პური და რძე ბავშვებისათვის.

მაღაროს პატრონები სცდილობენ შიმშილით გასტეხონ მუშების სიმტკიცე. შესაძლებელია ორი გამოსავალი: ან მუშები დამორჩილდებიან იმიტომ, რომ მათი ბავშვები პურს მოითხოვენ ტირილით, ანდა ჩვენ ავჯანყდებით,—განაცხადა კუკმა.

„სიკვდილი ბალდუინს“

ერთმა მუშამ წამოიძახა: „უნდა მოიკლას ბალდუინი“, პასუხად კუკმა განაცხადა: „პიროვნების მოკვლით არაფერი გამოვა. ბალდუინები რომ მოიშორო, საჭიროა მოიშოროთ კაპიტალიზმი“.

კუკმა გააფრთხილა მუშები, რომ მთავრობა მზადაა მიმართოს იარაღს აჯანყების შემთხვევაში.

გაფიცულები—ბრძოლის მომხრე არიან

კუკის შეკითხვაზე: „სწორთ თუ არა საჭიროდ—დაიწყოთ მოლაპარაკება მეპატრონეებთან მუშაობა ხელფასისა და სამუშაო დღის გადიდების საკითხზე“—არცერთ მუშას ხელი არ აუწევია.

კუკმა აღუთქვა კრებას, რომ არავითარი შეთანხმება არ იქნება ხელმოწერილი ან მიღებული, სანამ წინასწარ არ მოხდება კენჭის ყრა მთა-მადნის მუშებს შორის.

პილსუდსკი ემზადება

ლიტვის სანაპირო ხაზთან, ვილნოს რაიონში მდგომარეობა სერიოზული ხდება. პილსუდსკი, რომელიც ამ ჟამად პოლონეთის არმიის ბატონ-პატრონია, აძლიერებს ჯარს სანაპირო ხაზებში. ეს მოქმედება განსაკუთრებით აფიქრებს ლიტველებს, რომელთაც მეტად აწუხებენ პოლონეთის მოდარაჯე რაზმები.

ესტონეთი, ლატვია და ფინეთი მხარს უჭერენ პოლონეთის განჭრახვებს ლიტვის წინააღმდეგ.

ინგლისის პარნასით

მიუხედავად სსრკ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენლის სასტიკი პროტესტა-სა, ლატვიის გაზეთები განაგრძობენ ყალბი ხმების გავრცელებას საბჭოთა კავშირში არევ-დარევის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ გაზეთებმა ლიტვის ხელისუფლებისა და ინგლისის კაპიტალისტებისაგან მიიღეს ბრძანება—გაავრცელონ ყოველგვარი ყალბი ხმები საბჭოთა კავშირის შესახებ.

ბრძოლა ჩინეთში

სახალხო არმიამ უკან დაიხია

კონტრ-რევოლიუციონურ გენერლების—უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ გაფორებული ბრძოლის შემდეგ სახალხო არმიამ ჩაბარა სადგური ნანკოუ და მოთავსდა ნანკოუს მთის გასავალში.

განდიტეგი

იაპონური გაზეთები ასწერენ უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინის ჯარების სასტიკ მოქმედებას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ჩინელები კონტრ-რევოლიუციონურ არმიებს ისე უფურებენ, როგორც მხეცებს. გაზეთები ქვეით იხსენიებენ სახალხო არმიებისა და კანტონის რევოლიუციონურ ჯარების საქციელს.

საბჭოთა კავშირი

გერმანიის დელეგაცია სამარაში

ნოემბერ-ნოე-გოროდიდან სამარაში ჩავიდა 24 დელეგატი. დელეგაციის შეხვედრა პირდაპირ დემონსტრაციად გადაიქცა.

დელეგაციის თავმჯდომარე კერბერმა განაცხადა, რომ დელეგაცია განცვიფრებულია სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით. დელეგაცია სარატოვში გაემგზავრა.

ტარდება თუ არა ცხოვრებაში შვეიცულთა შეღავათები

სკკპ (ბ) ცეკამ წინადადება მისცა სსრკ-ს ცაკის პრეზიდიუმს გასინჯოს, სრულდება თუ არა სინამდვილეში ის შეღავათები, რომლებიც დაწესებულია შვეიცულ წითელ არმიელთა და უფროსმდგომლობის თავისუფალ ადგილებზე მოწყობის შესახებ საბჭოთა დაწესებულებებში. ეს ცნობები 2 თვის ვადაში უნდა იქნას წარდგენილი ცეკაში.

როგორ უნდა ივსებოდეს გადასაყვანი საბუთები

ხშირად სამხერხო გადასაყვანი საბუთები იწერება იმ ადგილობრივ რესპუბლიკის ენაზე, სადაც მოთავსებულია ნაწილი. ეს აბრკოლებს საბუთების გასინჯვას. ამის გამო რევსამხსაბჭომ წინადადება მისცა აღნიშნულ საბუთების შედგენის დროს განმეორებულ იქნას ტექსტი რუსულ ენაზედაც.

ამხ. მიქოიანი

დანიშნულია საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისრად.

ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გათავისუფლოს ამხ. კამენევი ვაჭრობის სახალხო კომისრის თანამდებობისაგან და დანიშნოს ვაჭრობის სახალხო კომისრად სსრკ-ს ცაკის წევრი ანასტასი ივანეს-ძე მიქოიანი.

ამხ. მიქოიანი დაიბადა 1895 წლის ნოემბერში, ტფილისის გუბერნიაში, მუშის ოჯახში.

პარტიაში შევიდა 1915 წ. 1917 წელში ის მუშაობს პარტიის ტფილისის კომიტეტის მდივნად.

1918 წელში მიქოიანი კომისარია ოსმალეთის ფრონტზე. 1919 წელში, როცა ოსმალებმა ბაქო დაიკავეს, მიქოიანი ათავისუფლებს დაპატიმრებულ ბოლშევიკებს შაუმიანის, ჯაფარიძისა და სხვათა მეთაურობით. მათთან ერთად ის ინგლისის ხელისუფალთა მიერ დაპატიმრებულ იქნა კრასნოვოდსკში და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევით გადარჩა დახვრეტას 26 კომისართან ერთად.

1919 წლის მაისში, როცა ბაქო ინგლისის სარდლობამ დაიკავა, მიქოიანი ხელმძღვანელობს ბაქოს მუშათა გაფიცვებს. დაპატიმრების შემდეგ ის საგანგებო კომიტეტთან ერთად გარბის ბაქოდან და განაგრძობს არალეგალურ მუშაობას. ის იყო პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი. თითრული ნაბიჯი ის იპარება დენიკინის ფრონტით ასტრახანში მოხსენებისა და პარტიის ცეკაში მთელ რიგ საკითხების მოსაგვარებლად, რის შემდეგ ის ბრუნდება ბაქოში არალეგალურ მუშაობისთვის.

1920 წელში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ცეკა გზავნის მიქოიანს ნიჟნი-ნოვგოროდში, სადაც ის მუშაობს 22 წლამდი პარტიის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1922 წლიდან, უკანასკნელ დანიშნულებამდი ის მუშაობს ჩრდილოეთ-კავკასიის პარტიის მდივნად.

პარტიის მე-11 ყრილობაზე მიქოიანი არჩეულ იქნა ცეკას წევრობის კანდიდატად, ხოლო შემდეგ არჩეულ იქნა სკპ (ბ) ცეკას წევრად. ამჟამად ის სკპ (ბ) ცეკას პოლიტბიუროს კანდიდატია. 1919 წლიდან მიქოიანი მუდმივად ითვლება სრულიად რუსეთის ცაკისა და სსრკ-ს ცაკის წევრად.

საქართველოში.

დახმარება დაზარალებულთ

სახელმწიფო დაზღვევის ოზურგეთის სააგენტო შეუდგა გლეხთა ზარალის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეული იქნა მოსახლეობის მიერ საქონლის პირის გამო

თითო სული მკვდარი საქონელი ფასდება 25-40 მანეთი.

მცხოვრებთა აღწერა

სენაკის მაზრაში დაიწყო მზადება მცხოვრებთა აღწერისთვის, რომელიც უნდა ჩატარდეს 1926-27 წელში. თემებში აღგზნენ ოჯახების სიებს.

სამხედრო სალიტერატურო მტკიცედ დაცვა უნდა

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში თავსდება ერთ ერთი სამხედრო ცნობა, რომ ზოგიერთი წოდება მებრძოლნი არ იცავენ სამხედრო საიდუმლოებას და უპასუხისმგებლოთ ამცდენენ მას. ეს მეტის მეტად სამწუხარო მოვლენაა და ამ ბოროტების სასტიკი ბრძოლა უნდა გამოიცხადონ თვით წითელ მებრძოლებმა.

ჩვენ არა ერთხელ გვიპასუხია ეს გზა. „წითელ არმიელის" ფურცლებზე სამხედრო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების შესახებ, მაგრამ როგორც სჩანს ზოგიერთ წითელ არმიელს ეს ანბანური ჭეშმარიტება, ეს ძირითადი ძეგლება ყოველი წითელი მებრძოლის დღესაც ვერ შეუთვისებია.

სამხედრო საიდუმლოების არ დაცვა—ეს წითელი არმიის, საბჭოთა სახელ წმიფოს უნებლიე, თუ ნებით დალატს ნიშნავს.

მტერი, რომელსაც მოეპოვება ცნობები ჩვენი სამხედრო ძლიერების შესახებ, ყოველთვის დაგვამარცხებს. ამიტომ საჭიროა სამხედრო საიდუმლოების სასტიკად დაცვა. ამ მხრივ არ შეიძლება არავის ენდო არც ნაცნობს, არც ძმას, დედას, ახლო ნათესავს, თუ სრულიად გარეშე პირს.

ის წითელ არმიელი, რომელსაც ენა გაუხსნია და ვერ დაუმორჩილებია სალაპარაკო ორგანო—ცუდი დამცველია მუშების და გლეხების ინტერესებისა. მტერი მუდამ ეძებს მოდალატეებს, რომ მათ საშუალებით შეაღწიოს ჩვენ ორგანიზაციებში და ამ გზით მიაღწიოს თავის ბინძურ მიზნებს.

ამიტომ ყოველ წითელ არმიელს, ყოველ მებრძოლს, ყოველ მუშა-გლეხს უნდა ჰქონდეს ყურადღება და ფხიზლობა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ირგვლივ ბევრი ცდილობს ჩვენი სამხედრო საიდუმლოების გამოძიებას, ბევრი ცდილობს ჩვენ ორგანიზაციებში შეაღწიოს, ჩვენ ეს ვიცით და ამიტომ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ფხიზლად უნდა ვიყოთ.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ირგვლივ

სამოსწავლო შეკრებების შემდეგ.

მეცადინეობა ნაყოფიერად დამთავრდა.

მე 4 ლეგ. მე 3 ასეული

17 მაისიდან დაიწყო ახალწვეული წითელ არმიელებთან მეცადინეობა, რომელიც დამთავრდა 30 მაისს. პირველ ხანებში ახალგაზრდა წ. არმიელებს ეუცხოვათ უარმიული ყოფა-ცხოვრება და მტკივნეული დისციპლინა, მაგრამ თანდათან დღე და დღე მათთვის ყაზარმა გახდა საყვარელი ბინა და დისციპლინაც სრულიად ნორმალური შეიქნა. ასეულში 50 პროც. წერა-კითხვის უცოდინარნი, ამიტომაც ჩვენი მეთაურების მიერ ძალიან ცოტა იყო სათანადო ზომები. მოკლედ ამ ორ კვირეში ყველ დარგში გვიანი სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგი. უფროლტ შემადგენლობის დაუზარებელი მუშაობა და ენერგიულად გაამართლა ახალწვეულების.

უკანასკნელ დროს ლეგიონის ცხოვრებაში მოწყობილი იქნა შემდეგი სროლაში, სადაც მე-3 ასეულმა პირველობა გამოიჩინა.

პარტმუშაობა თავის სიმაღლეზე იდგა, ამას ხელს უწყობდა ასეულის 50 პროც. პარტშემადგენლობა, რომლის გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა უპარტიო აქტივი. პარტიული სკოლის გარეშე მუშაობის დროს. ასეულში გამოდიოდა კედლის გაზეთი „რევოლიუციის დარაჯი", სადაც პარტდამხმარე ჯგუფის სწორი ხელმძღვანელობით სრულიად აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

31 ივლისს მოხდა ლეგიონის საზეიმო სხდომა 1903 წელში დაბადებულების სახლებში დათხოვის გამო, სხდომაზე გამოტანილ რეზოლუციაში ჩვენი წითელარმიელები აღუთქვამენ წითელი არმიის ბელად კომუნისტურ პარტიას რომ ისინი მთელი თავისი ენერგიით და წითელ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას გაავრცელებენ გლეხ ახალგაზრდობაში და მოდამე მზათ იქნებიან პირველ დაძახილზევე ჩადგნენ მებრძოლ რიგებში.

შ. ხონელიძე.

ჩვენი კლუბის მუშაობა

(ცხენ. ლეგიონი)

14 აგვისტოს კომკავშირის თანხმობით გაიმართა საღამო. საღამოს დაესწრო წითელ არმიელები და ჩვენი ახლო მდგომი სტუდენტებიც. ჩატარდა პიესა—„რაც გერგება არ შეგერგება".

მოწყობაში დიდი დახმარება გვიწია სამხკომმა. საღამო დიდი ხალისით ჩატარდა და კარგა ხანგრძლივად დასტოვა წითელ არმიელებზე და ჩვენს მეზობელ მუშურებზე; დასასრულ მანვერვიდან დაბრუნებულ ამხანაგებს ლუბის უფროსმა გააცნო ჩვენი მდგომარეობა (დარჩენილთა) მუშაობა.

კახიძე.

მადლობა ჩვენს ხელმძღვანელებს

მე-2 ლეგსკოლიდან

ჩვენ, სამხრეთ-ოსეთის წითელი კურსანტები მხურვალე სალამსა და მადლობას უძღვნით მე-2 ქართულ ლეგიონის შემადგენლობას, ვინაიდან ჩვენ, ჩამორჩენილებს, განსაკუთრებით ქართულ ენაში, კარგად შეგვასწავლეს ენა, მოგვაღებიეს პოლიტიკური და სამხედრო ცოდნა. მომავალში გამოწვეულ წითელარმიელებს—ოსებს უფრო გაუადვილდებად სწავლა, ვინაიდან, ჩვენ, ენის მხრივ მათთან ახლო მდგომი, დიდ დახმარებას გაუწევთ მეთაურებს მათ სწავლებაში. სალამი ჩვენს წითელ ყაზარმასა და მის ხელმძღვანელთ.

იკოევი.

მზნედ და ერთსულოვნად გავეშუროთ მანევრებზე. წარმატებით ჩავატაროთ ის.

სროლაში გავიმარჯვებთ

კარგა ხანი ემზადებოდა ჩვენი დივიზია სროლის შეჯიბრისთვის —31 ივლისს მოხდა შეჯიბრი. მოწინააღმდეგედ მიიღო აგრეთვე პირველ რუსულ დივიზიამ.

შემჯიბრებლების მიერ იქნა შესრულებული ყველა ის ტეხნიკური საბეები, რომლებიც საერთოდ მიღებულია ასეთ შემთხვევაში. კარგად ისროდა ყველა, მაგრამ მე-2 ლეგიონის ლეგ-სკოლის კურსანტებმა წარჩინებულად შეასრულეს, როგორც ტეხნიკური მხარეები, ისე სროლაც. 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის უფროსმა მათ მიღოლიცა სროლის შეჯიბრში სრული გამარჯვება და პირველობა. კურსანტები გაცილებული იქნა „ვაშა"ს ძახილით.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-2 ლეგ. სკოლის კურსანტების გამარჯვება მიეწერება სკოლის უფროსს კ. ბუაჩიძეს და თანაშემწე ალ. ღოღობერიძეს, რომელთაც სკოლაში სროლის საქმეს დიდის ენერგიით ატარებდენ.

მადლობის ღირსია ეს ორი ამხანაგი, დივიზიაში სროლის საქმის კარგად დაყენებისათვის.

კურსანტი გ. წახნაკ-ძე.

საჭიროა ექსკურსიები.

მე-3 ლეგიონის სამხკორთა წრე.

ჩვენს ლეგიონში ჩამოყალიბებულია სამხკორთა წრე. იმ მუშაობასთან ერთად, რომელიც სწარმოებს წრეებში, სამხკორთა აღზრდის მიზნით, აუცილებელია ექსკურსიების მოწყობა სამხკორებისათვის, რაც ჩვენთან არ ყოფილა და რაც დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა მოგვიწყონ ექსკურსიები სხვა და სხვა წარმოებაში—ფაბრიკებში, სახელოსნოებში, სხვა სამხედრო ნაწილებში და სხვ. ამით საშუალება მიეცემა სამხკორებს მეტი გამოცდილება და მასალა შეიძინონ, რითაც ისინი შეძლებენ სოფელში დაბრუნებისას სამოქალაქო პრესაში მონაწილეობის მიღებას. იმედია წრის ხელმძღვანელი მიიღებს ამ მხრივ ზომებს.

ქ. ზ.

ვემზადებით 1904 წლიან ცვალებადელების გაწვევის შემდეგ დაიწყო მეცადინეობა უმცროს მეთაურებთან, რომ უმთავრესად მომზადებულნი შეხვდენ 1904 წ. დაბადებულ ტერარმიელებს, რომლებსაც გამეორწვევენ ამ ცოტა ხნის განმავლობაში. უმცროს მეთაურებს უმთავრესად ასწავლიან იმას, თუ როგორ უნდა ასწავლონ ყაზარმაში მისულებთანავე, რომ მათ შესძლონ კარგად შეთვისება ყოველგვარი მეცადინეობისა და უნაყოფოთ არ ჩაატარონ წითელ ყაზარმაში მცხოვრეთა შეკრება. ასეთი წინასწარი მომზადებით ჩვენი ნაწილი შეძლებს სათანადოდ მოამზადოს მუშურ-ვლეხური ახალგაზრდობა.

პ. ლობილაძე.

გაველით საბანაკოთ.

(ქართ. ცხენ. ლეგიონი)

ორი თვის განმავლობაში ბანაკად ყოფნის დროს ცუდი ამინდი იდგა, მაგრამ სამხედრო მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობდა. პოლიტმეცადინეობა გვქონდა ყოველ დღიურათ. ეწყობოდა ექსკურსიები, როგორც ქალაქად, ისე სოფლადაც. ყოველ შაბათს ეწყობოდა წარმოდგენა, იყო დაარსებული სხვა და სხვა წრეები.

კომკავშირი მეცადინეობას აწარმოებდა ყოველ შაბათს. იყო დაარსებული კომკავშირის სკოლები, რომელთა მუშაობაც ნაყოფიერად ტარდებოდა. მჭიდრო კავშირი გვქონდა სხვა და სხვა ორგანიზაციებთან. სურსათის მხრივ წითელ არმიელები კმაყოფილი ვიყავით, სადილ-ვახშამს გვიმზადებდენ კარგს და რიგადებოდა თავისი დროზე და წესიერად.

24 ივლისს ცხენოსანი ლეგიონი გაემგზავრა ლენინაკანიდან №-კენ. მგზავრობას მოუნდა სულ ექვსი დღე. წითელ არმიელები გაეცნო მოგზაურობის დროს სომხეთის ადგილმდებარეობას; აღსანიშნავია განსაკუთრებით ლიუსენბურგი, რომელშაც დიდათ დაინტერესა წითელ არმიელები „თავისი კულტმუშაობითა და აღშენებლობით. ვინახულეთ ძველის მახლობლათ ციხე. დავთვალიერეთ ციხის შიგნითა მდებარეობა. №-ში ჩვენს ლეგიონს დაუხვდა მე-2 ართ. ლეგიონი. ჩამოსვლისას მხიარულათ შეგვხვდა ცვალებად წითელ არმიელები, დაინტერესებით კითხულობდენ, თუ როგორ იმგზავრეს, როგორი ადგილმდებარეობაა სომხეთში, როგორი მეცადინეობას, ვიდრე ზოგი წითელ არმიელს. საჭიროა [და უმჯობესია—ის ენერგია, რომელსაც ანდომებენ ქალების „გასამხედროებას", მოანდომონ წითელ არმიელებს. ჩვენი გაზეთი ხშირად სწერდა სამხედრო საიდუმლოების დაცვის შესახებ, მაგრამ ასეთ მოვლენებს კიდევ აქვს ადგილი.

ჭალისხეველი.

ნუ ამქლავნებთ სამხედრო საიდუმლოებას

ბევრი სამხედრო მსახური, განიცდიან თუ არა ქალს, სიყვარულის ახსნასთან ერთად უხსნის მთელ სამხედრო საიდუმლოებას, კუბიკების, ჯგუფებისა და რომბების მნიშვნელობას, ვის რამდენი კაცი ამბარია, სად რამდენი ცხენი ამბია, რამდენი თოფი, ზარბაზანი და სხვ. ასე რომ ხშირად გორული ქალიშვილი უკეთ იცნობს ჩვენი ნაწილების მდგომარეობას, ვიდრე ზოგი წითელ არმიელი. ეს ენერგია, რომელსაც ანდომებენ ქალების „გასამხედროებას", მოანდომონ წითელ არმიელებს. ჩვენი გაზეთი ხშირად სწერდა სამხედრო საიდუმლოების დაცვის შესახებ, მაგრამ ასეთ მოვლენებს კიდევ აქვს ადგილი.

ჭალისხეველი.

ჯარში გაწვევა.*)

(სურათი)

ა. ჰაი, ვანო, ვანო!

ნო. ჩუ, ჩვენი ბიჭები, მიდიან

უკვე... აქეთ, აქეთ ამხანაგებო...

მივდივარ ვალის სახდელად,

და სიხარულით ვმღერიო,

აქ მრჩება დედა და თინა,

ბროლის ყელ მონაღერიო...

ედა. (შემოდიან დროშით, სიმღერით, თავდისიანები აცილებენ, ერთი ფანდურით):

წვიდეთ ვანო.

ვვიანდებით...

ნო. აბა, მზადა ვარ... (საგზალს შემოკრავს).

ფანდურე. ძმებო, შემოვკრებით სუყველა,

წავიდეთ წითელ ჯარშია,

მეხე ჩვენს წითელ დროშასა,

ზეს ეკვრის როგორც არშია...

—

ენეცაცალე ამ ჩვენ დროშას,

ბრიგადზე ძლევით ფრიალსა;

ველა მტერს დააწყებინებს

ისხლის ბრძოლაში ღრიალსა...

—

ბიქებო, ურჩი შეტევით,

გვიდეთ ბრძოლის ველზედა;

და შემოვეცლოთ საყვარელ

თავისუფლებას ყელზედა...

ედა. ამხანაგებო, თქვენ კარგად

ცით სადაც მიდიხართ, დღეგანდელი ყაზარმა არა ჰგავს

ველ, მეფის დროის ყაზარმას,

სადაც იზრდებოდა ჯარისკაცი

—მონა, ეხლანდელ ყაზარმაში იზრდება ჯარისკაცი—მოქალაქე, რომელმაც უნდა დაიცვას ჩვენი რესპუბლიკის წითელი საზღვრები და იდგეს კომუნის სადარაჯოზე; [აი, მე, უკვე გავათავე სამსახური და თქვენ მიდიხართ ჩემი და ჩემი ამხანაგების შეცვლად, იყავით ისეთივე პატიოსანი ჯარისკაცები, როგორც ჩვენ; თქვენ კარგათ იცით, მე რომ აქედან წავედი, არაფერი ვიცოდი, მაგრამ აქ ყველაფერი შევისწავლე, ყაზარმა უფრო წითელი სკოლაა, ვიდრე ყაზარმა; და აი თქვენ მიდიხართ ამ სკოლაში, ამ ძმობის დიდ ოჯახში... გაუმარჯოს წითელ ყაზარმას.

ყველა. გაუმარჯოს!

გოგლა. გაუმარჯოს წითელ ჯარში მომავალ ახალგაზრდობას!

ყველა. ვაშა!

2. ჰო და მართალს ამბობს გოგლაი, ძმებო, მივცეთ ფიცი, რომ ვიქნებით მისი ღირსეული მემკვიდრენი და მუდამ მაღლა ვატარებთ ამ დროშას.

ყველა. ვფიცავთ...

გოგლა. ძმებო, მიდიხართ, მიხარის, სალამი ყაზარმასაო;

მუდამ გვასმენდეთ იქიდან გამარჯვებისა ხმასაო...

—

ყველა. უფროსო ძმაო, ვფიცავთ, რომ ვისმინოთ დანაბარიო;

სასტიკ ბრძოლებში დავიცავთ საბჭოთა მთა და ბარიო...

3. აბა წასვლის წინ, ცეკვა და ლხინი...

4. მიხა, დაჰკარ სათამაშო... (მეფანდურე უკრავს, სხვები ტაშს დაჰკრავენ, რამოდენიმე წყვილი ითამაშებს. ამავე დროს ხალხში ლაპარაკი, საუბარი, სიცილია, მოხუცი ჩიბუხის წევით ვანოს დედას ელაპარაკება, უბარიან).

მეფანდურე. დაუკარ ჩემო ფანდურო,

თლილო რცხილას ხისაო,

დავამღეროთ ზოგი რამე,

თითქმის ყოველ დღისაო...

—

ახალი დროება დადგა,

უხარიან გლეხსაო;

ნათავდარს და ყველა ჩარჩს

თავს ატეხავს მეხსაო...

—

ბოქაულები მოისპენ,

გაჰქრენ მკითხავებიო;

ამ ყოფილ ხალხს აღარა ჰყავს

არსად გამკითხავიო...

—

ჩვენს მღვდელზე და დიაკვანზე

აბა რაღა ვთქვაო,

შიშისგან ვეღარ ჩნდებიან,

შაკრათ სუნთქვაო...

—

ერთი ქელეზე ღონდება

მეორე სამხთოზეო;

ფოფოდია კი წყვილთა

სჩივის ახალ დროზეო...

1. ტაში, ტუში... აბა დედი...

დედა. იჭ, შვილო, რაღა დროს ჩემი თამაშია...

1. პაპა, გამო...

მოხუცი. რას ამობ, ე, შეთე, ამ ფეხს ძლივს დავთრევ წისქვილის სარეკელსავითა და...

დედა. გამო სოსო, გამო... ერთი ამათ ვაჩვენოთ ჩვენი ბებრული.

მოხუცი. ჰა, კარგი, კი არ დამცინოთ და... (ცეკვავენ, რაიც დიდ სიცილს იწვევს... ამ დროს გამოვლის მღვდელი და რა ამათ შენიშნავს, ხელებს აიფარებს, გაპარვას ლამობს, მაგრამ შენიშნავენ, ანაფორაზე ხელს სტაცებენ).

2. საით მღვდელო, მოდი ერთი ითამაშე...

3. აბა აიწიე ანაფორა და ჩაბუნე...

მღვდელი. დამეხსენით შვილო, წირვაზე მივეჩქარები...

1. ხალხი საყდარში აღარ დადის და რა მიგაჩქარებს?

მღვდელი. ჩემი სამყოფი კიდევ არიან, ყველა თქვენსავით კი არ არის ეშმაკის კერძი კომკავმოლა... (სიცილი ატყდება, ეხვეიან, არ უშვებენ).

3. ვიდრე ერთს არ ჩამოუვლი და არ იმღერებ, მამაო, არ გაგიშვებთ...

მღვდელი. ოჰ, შეგაჭენოთ უფალმა...

1. აბა, ჰა, თუ კიდევ გახსოვს ძველი მადა... (ფანდურს უკრავს, ტაშს დაჰკრავენ).

მეფანდურე. ფანდურო დავადიღონოთ,

შენ კი გენაცვალეთ;

მღვდელო ერთი შემოსძახე და იცეკვე მალეო...

მღვდელი. (არ უნდა, გაქცევას ეპირება, მაგრამ არ უშვებენ, იწუეცლება ჩუმად, წვერების ცანცარით, ანაფორას იკაპიწუებს, თან მღერის, თან ცეკვავს)

მენატრება ისევა

რაც იყო ძველ დროშია,

ქელები, ზურგიელი,

კოლიო და დოშია...

—

მიყვარდა, როს მოჰქონდათ

ჩემთან დრამა, ტაბლაო;

ეხლა ლამის შიშმილით

მომივიდეს დამბლაო...

(სიცილი, ამასობაში დროს იხელთებს, გაიქცევა, ზოგიერთი გამოუდგებიან, კიეილით, გასწრებს)...

ვანო. ეხლა წავიდეთ, გვეყოფა...

გოგლა. გზა მშვიდობისა, ძვირფასო ძმებო...

მეფანდურე. (უკრავს, გოგოებს გადახედავს ღიმილით, მერე ვანოს და თინას შეხედავს)

გოგო, ვიდრე მე დავბრუნდე

არ გამცვალო სხვაზია,

თავი არ დამარჩინინო

აღელვებულ ზღვაშია...

(სიცილი, ვანო და თინა ერთმანეთს გადახედავენ აღელისით, გადაეხვევა)

ვანო. თინა...

თინა. ვანო...

5. მარო, შენზე ამბობს აი... შე გასაწყვეტო...

6. ჩემზე რაზე უნდა სთქვას გოგო, შე გასაწყვეტო, ვერა ხედავ იმათ? (ვანოზე და თინაზე აჩენებს, გამომშვიდება, გადაეხვევა ერთმანეთს, ახალწვეულნი, დანარჩენნი რჩებიან, აცილებენ, ვანო ბოლოს გადის, მამავალნი ჯერ აქ იმღერიან და ისე გადიან, სიმღერა შორს მისწყდება...)

მიმავალნი. მოვდივართ, მოვგებიხარიან,

წითელი დროშის მცველები,

ხელში გვეპირაცი თოფი და

ჩაქუჩ-ნამგალი, ცელები...

კომუნის შვებით მოვიმღერით,

მოვედიერია ყელები,

რათა ახალ შენებით,

აქ ვარგოთ მინდორ-ველები...

დედა, თინა, ვანო. (მღერიან ცალ-ცალკე, მერე შეუკავშირდებიან):

მშვიდობით, უკვე დრო არის,

დაგვხარის შვების დილაო;

ნახვამდის, ხედავ ლურჯი ცა

ჩვენზე მზით გაღეღილაო...

(ჯერ დედას, მერე თინას გადაჰკოცნის, გასვლის წინ ერთი კიდევ გადაჰხედავს და სწრაფად გავა).

დედა. (ორივე ხელ გაწვდილი):

გამიფრინდა საყვარელი,

შვილი ყველაზე მჩენია;

სოფლის თვალი, სიხარული,

დედის დამამშვენია...

თინა. (ცხვირსახოცის ქნევით, მღერიან ერთ და იმავე დროს):

მიჰქრის ძლევით და მკლავი აქნევს

როგორც ორბის ფრთებსაო;

ო, ნეტავ როს დაბრუნდება

და გამახარებსაო...

(დაღონდება, სურათი).

ფ ა რ დ ა.

ს. ერ—ლი.

*) დასასრული, იხილე კვირის №-ში 145.

ჩვენი პარტიის და კომ-პავშირის ცხოვრება

ჩვენი პარტსკოლა

მე-3 ლეგიონის 1-ლ ასეულში არის ჩამოყალიბებული 1-ლი და მე-2 საფეხურის პარტსკოლა, სადაც სისტემატიურად მომდინარეობს მეცადინეობა კვირაში ორჯერ. პარტსკოლის ხელმძღვანელობა ევალება პარტიის წევრებსა და კანდიდატებს, რომლებიც ატარებენ სხვადასხვა საუბრებს. საუბრების ჩატარების დროს ყველა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს,—როგორც წითელ არმიელები, ისე მეთაურებიც. აქ უნდა ითქვას რომ ჩვენი პარტსკოლის მეცადინეობას დიდი ნაყოფი მოაქვს პოლიტკულტურის შეძენის მხრივ.

იმედია მომავალში უფრო ენერგიულად დატრიალდება საქმე და ის დაბრკოლებები და ნაკლი, რომელიც დღეს ახლავს ჩვენს მუშაობას, ახლო მომავალში სრულიად გამოსწორდება.

იასონ ზუბაშვილი.

ჩვენი პარტმუშაობა

(მე-3 ლეგიონი)

პირველი კომუჯრედის მუშაობა კარგად მიმდინარეობს. იმართება ორ-ორჯერ თვეში დახურული და ღია კრება, ამას გარდა იმართება თვეში ორჯერ ასეულის გაერთიანებული კრება. გვაქვს კავშირი ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებთან, ვეცნობით ერთმანეთის მუშაობასა და სხვა.

ს. პატარია.

მოსპეთ ნაკლულევანებანი

მიაქციეთ ყურადღება

მე-4 ტერლეგიონის სამზარეულოს გვერდზე არის გაყვანილი არხი, რომელიც მიწით არის ამოსებული. მზარეულები კი გადარჩენილ ბორშს და ძვლებს შიგ ყრიან, რის გამო ჩნდება ძლიერი უსუფთაობა და საშინელი სუნი მისი ახლო-მახლო. ამ ბოლო დროს ღორებიც შეეჩვია სიარულს და შიგ წვებიან სიცხის გამო, რაც სულ აორაკეცებს უსუფთაობას. სამზარეულოს ახლო არის ნაგვის ყუთი, რომელშიაც ყრიან ნაგავს, შემდეგ ყურადღებას აღარ აქცევენ. აქაც ღორები დაეპატრონენ და შიგ ბუღობენ, რის გამო ყუთიც დაინგრა და ნაგავი აქეთ იქით იფანტება.

საჭიროა ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს.

მნახველი.

როგორ ფიქრობს საფრანგეთის არმია სამსახურისვადის შემცირებას

ამ ბოლო ხანებში ფრანგულ პრესაზე გამოვიდა მეტად საინტერესო წიგნი გენერალ ბრისსო დემანეს ავტორობით.

სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების საკითხი სერიოზულად აღელვებს საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს. საფრანგეთს ძლიერი ძალა ესაჭიროება ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და საზღვრებისა და ახალშენების დასაცავად. წიგნში გამოანგარიშებულია უსათუო მტრის—გერმანიის შეიარაღებული კადრი—25.000 კაცი (არმია და პოლიცია), რომელიც საჭირო დროს შეიძლება შესებულ იქნას 600 ათასამდი სამხედრო სამეშვი კარგად მომზადებული, საიდუმლო საზოგადოებათა წევრებით; ამიტომ გენერალი ბრისსო დემანე სწერს, რომ უმცირესი რაოდენობა შეიარაღებულ ძალებისა, რაც უნდა იყოფილოს საფრანგეთმა, გარდა ოფიცრებისა, უნდა იყოს შემდეგი: გაწვეული უნდა იქნას ყოველწლიურად:

თეორები—220 ათასი კაცი,
ფერადი ჯარები—150 ათასი კაცი,
ეიდის ზევით მსახურნი—150 ათასი კაცი,
სულ—520 ათასი კაცი.

ამ რიცხვს ავტორი უმატებს 100 ათას კაცს დაქირავებულ მსახურებს 50 ათას კაცს გარდა, რომლებიც ამ ჟამად ითვლებიან საფრანგეთის არმიაში.

ავტორი ურჩევს გადიდებულ იქნას უნტერ-ოფიცერთა და ოფიცერთა ჯამაგირი, დაყენებულ იქნას სათანადო სამაღლეზე ახალგაზრდობის ჯარის გარეშე და წვევამდე მომზადება და სხვა. ამას გარდა ის საჭიროდ სცნობს აგებულ იქნას აღმოსავლეთ საზღვრებზე გამაგრებული ბრძოლის ველები ბეტონიან საფორტიფიკაციო ნაგებობით და ჯავშნიანი კოშკებით.

ბრისსო დემანე შეუძლებლად სთვლის, რომ არმიის, ერთ წლიანი სამსახურის პირობებში შეეძლოს სხვა რამესი გაკეთება, გარდა სწავლებისა. ის მოითხოვს არმიის გათავისუფლებას სპეციალური განწესებისა, ყარაულის, საპატიმროების დაცვის, პოლიციაზე დახმარებისაგან გაფიცვების, არეულობის დროს და სხვა.

ამრიგად თეთრი გენერლის წიგნში წარმომდგარა დღესვე მყვლეფელთა საშინელი და გარდაუვალი აღსასრული არჩდილი. მას ელანდება საბჭოების გამხრწნელი გავლენა. ის მოითხოვს ჟანდარმერიის ორჯერ გაძლიერებას (30 ათასი კაცის ნაცვლად—60 ათასი კაცი). მართალია ეს ძნიმე ბარგად აწვება საფრანგეთის მშრომელ ბიუჯეტს, მაგრამ საფრანგეთის დღევანდელ მესვეურთა იმედები დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ ჟანდარმერიაზე.

ზ. შ.

ამერიკის შეერთებულ შტატების ავიაცია

ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ ორი ხმელეთის საზღვარი—2.500 კილომეტრი (მექსიკაზედ), 6.000 კილომეტრი (კანადიანად), და ორი საზღვაო სანაპირო ხაზი—2.500 კლმ. და 5.000 კლმ. ამიტომ ამერიკის საჰაერო ფლოტი იყოფა ხმელეთისა და საზღვაო ფლოტად. ამერიკის მთავრობა, რომელიც განაგებს უზარმაზარ ქვეყანას—საფრანგეთზე ექვსჯერ მეტს შედარებით ნაკლებად ზრუნავს თავის ხმელეთის საზღვრებისთვის, ვინაიდან არც კანადა და არც მექსიკა მისთვის სერიოზულ მოპირდაპირეს არ წარმოადგენს და სრულებით არ მოეპოვებად სამხედრო ავიაცია.

სულ სხვა საქმეა ზღვა. აქ, როგორც ამერიკელები იტყვიან, მათი ქვეყანა ღიაა ზღვით თავდასხმებულად, როგორც გემებით, ისე მფრინავი მანქანებით, რომლებიც ჩვეულებრივად თანახლავთ სახღვაო ფლოტს. ამიტომაც ამერიკა დიდ ყურადღებას აქცევს საღვაო ავიაციას. ეს გარემოებაც უკრნახებს ამერიკის იმპერიალისტებს განსაითარო თავიანთი საზღვაო ფლოტე.

1925—26 წლებში საზღვაო ავიაციისთვის მთავრობამ გადალო 38 მილიონი მანეთი, ხმელეთისათვის კი—34 მილ. მან. სხვათა შორის, ეს სახსარი იხარჯება არა თვითმფრინავების ასაგებად იმდენად, რამდენადაც ავია-ქარხნების, ლაბორატორიების ასაგებად და სხვა.

ამერიკელები მართალი არიან, რომ თუკი ავიომრეწველობა ექნებად, მობილიზაციით მათ შეუძლიათ საკმაო და საუკეთესო საჰაერო ფლოტის შექმნა. ეს მაშინ, უკვე აგებული აპარატები ხშირად ძველდებიან და უვარგისნი ხდებიან.

ამერიკაში სამოქალაქო ავიაცია ევროპასთან შედარებით სუსტადაა განვითარებული. სამოქალაქო ავიაციაში მთავრობა დახმარებას უწევს მხოლოდ საჰაერო ფოსტას, რომლის ხაზი სჭრის მთელს ამერიკას 5.500 კილომეტრის მანძილზე. გახსნილია საჰაერო ფლოტის ღამის ხაზი, რომელიც 3.000 კილომეტრს უდრის.

ავიაციის გამოყენება მაღნებლებთან ბრძოლაში მეტად განვითარებულია. სწარმოებს აგრეთვე საზვერავი მუშაობა ტყის დასაცავად.

ხმელეთის სამხედრო ავიაციას ჰყავს 51 ესკადრილია—550—600 მფრინავით. საბრძოლო მანქანა ცხრაასამდეა.

საზღვაო-საჰაერო ძალები იმყოფება ხომალდებზე. მაგალითად ხაზის ხომალდი მომარაგებულია სამი აპარატით, კრეისერი—2 აპარატით. არის მცურავი ჰაეროდრომები, რომლებსაც მთქვთ თან 72-დე აპარატი, მათ შორის 32 მძიმე.

საზღვაო უწყება დაინტერესებულია აგრეთვე დირიჟაბლებით, განსაკუთრებით დიდი მოცულობის.

ა. უ.

ვინ იქნება უმჯობესი?

ვიწერ გაზეთ „წითელ-არმიელს“ 3 თვით ქუთაისის მაზრის სოფელ ღონირ-ჯვრის სამკითხველოსთვის, ამის გამო ვიწვევ ასეულის მწყობრის მეთაურებს 1. რ. კვირნაძეს, 2. ვ. გრიგოლაშვილს და შემდეგი ათეულის მეთაურებს: 1. დ. ქაბზინაძეს, 2. გ. შავლიშვილს, 3. ხ. სვიმონიშვილს, 4. თ. ფურცელაძეს, 5. გ. დესპოტაშვილს, 6. პ. ჭელიძეს, 7. ი. ხელაშვილს, 8. დ. მირინაშვილს, 9. გ. აბაშიძეს, 10 შ. თაბაგარს, 11. მეკუპნავე ს. აფრიაშვილს, 12. სატენკიო საწყობის გამგე პ. მაიორს.

1-ლ ქ. მ. დ. (ალკე მესანგრე ასეულის წ. არმ.

გ. კეკელია.

ჩვენი ფოსტა

მე-4 ლეგ. ბიბგამგეს. თქვენს მიერ გამოწერილი გაზეთები სხვა სხვა მისამართებით სამხედრო კუთხეების სახელზე იგზავნება 15 აგვისტოდან. თქვენი ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობისთვის 35 ც. კი—20 აგვისტოდან, ვინაიდან ფული და ცნობები მივიღეთ დაგვიანებით. რედაქცია აგრეთვე გთხოვთ გამოგზავნოთ ამ 20 ცალი გაზეთის საფასურები, რომლებსაც ღებულობთ 1-ლ აგვისტოდან სულ—7 მანეთი. ამის გარდა გვაცნობეთ, თუ რამდენ გაზეთს იწერთ ლეგიონის საჭიროებისათვის სექტემბრისთვის.

მეთვალყურეს. მოსპეთ ნაკლულევანება—არ წავა. ადგილობრივად გაიგეთ მიზეზები.

ა. დეისაძეს. კორესპონდენცია პირველი ლეგიონი მანევრებზე—არ წავა. წერილი დიდია, ხოლო შიგ არაფერია ნათქვამი ამ შესახებ, თუ როგორი მიღწევები იყო სამხედრო ცოდნის მხრივ.

მაჩიტაძეს. შვებულთა მოვალეობანი სოფლად—არ გამოდგა. მოიწერეთ სხვა თემაზე.

კატრონელს. როგორ შეითვისა—არ დაიბეჭდება. სხვას ბრალდება უყენებთ, მაგრამ თქვენს ვინაობას მალავთ. ცნობას ფსევდონიმს გარდა უნდა მოაწეროთ სახელი, გვარი და უნდა დაამტკიცოთ ხელით ნაწერი.

გ. ჩი—ძეს. ჯგუფებში მეცადინეობის კომპლექსური მეთოდის შესახებ—არ წავა. ზოგადია.

ჯანაყოლელს. კომკავშირის მუშაობა ჩვენს ნაწილში—არ წავა, ვინაიდან ნაწილი არ არის აღნიშნული. დაასახელეთ ნაწილი და გამოიცვალეთ ფსევდონიმი.

ი. ჟუჟაიძეს. აღლუმის შესახებ არ წავა. ასეთი უკვე იყო.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შეტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ კ. პ. კანდიდატის 1924 წლიდგან მწყობრის თავს ამავე ასეულის ამხ. ღვინერია ივანე კონსტანტინეს ძეს, დაბ. 1898 წელს. საშვალო ცოდნით, მცხოვრები ქ. თბილისში.

თუ ვისმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ან სატყვიერათ დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში. ცნობები მოაწოდეთ აღნიშნულ კომუჯრედს ქ. თბილისში, ძნელაძის ქ. № 21.

კომუჯრედის პ. მდივანი გ. სიხარულიძე.

მე-2 საარტილერიო ლეგიონის 1-ლ საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტ. კანდიდატობის მიღების შესახებ ა. ლ. კ. კ.-ს წევრ წოთელარმიელებს: 1) გაგენ დავით ალექსის ძეს, მცხოვრ. გორის მაზრის სოფ. ცხრა მუხის, ლომძიე მიხეილ ისაკის ძეს, მცხოვ. გორის მაზრის სოფ. გვერდუბნის და 3) ლომთათიძე შალვა ვლადიმერის ძეს, მცხოვ. ოზურგეთის მაზრის, სოფ. ქვენობანის.

თუ ვინმეს აქვს რაიმე უარყოფითი ცნობები ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე, გთხოვთ გვაცნობოთ კომუჯრედის შემდეგი მისამართით: ტფილისი, მე-2 საარტ. ლეგ. კომუჯრედის ბიუროს.

კომუჯრედის ბიურო.

მე-4 ლეგ. 1-ლი ასეულის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის წევრად მიღების შესახებ: 1) ტუსაძე პაველეს (ამავე ლეგიონის კლუბის უფროსი, კ. პ. კანდიდატი) 2) სულაძე არჩილს (1-ლი ასეულის წ.-არმიელი, კომ.-პარტიის კანდიდატი).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ აღნიშნული პირების კ. პ. წევრად გადარიცხვის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში აღნიშნულ უჯრედში.

უჯრედის პასუხისმგ. მდივანი ს. ივარდავა.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-8 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატების თხოულობენ კომპარტიაში წევრებათ გადარიცხვას: 1. არუთინოვს არტემ სერგოს ძე, თელავის მაზრის სოფელ. ურიათუბანის მცხოვრებს 2. დოლაძეი ნიკოლოზ ანტონის ძე, ცხინვალის მაზრის სოფელ. დრაეთის მცხოვრებს, 3. ყალიჩავა კაპიტონ ივანეს ძეს, სენაკის მაზრის სოფელ ქვალნის მცხოვრებს.

უპარტიო, რომელიც თხოულობს პარტიაში კანდიდატად მიღებას: ფერაძე კონსტანტინე მაქსიმეს ძეს, გორის მაზრის სოფ. ქვემო ჭალის მცხოვრებს.

თუ ვინმემ რაიმე იცის უარყოფითი ზემოაღნიშნულ პირების მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-8 ასეულის კომუჯრედში.

კომუჯრედის მდივანი ვ. ჩაგელიშვილი.

უცხოეთის არმიებში

ასეულებში ტყვიამფრქვევები არ აქვთ.

არცერთ მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოსა და ჩვენი მეზობლების არმიებში, მსროლელ ასეულებსა და ოცეულებში დაზგის ტყვიამფრქვევები არ მოიპოვება. (შეიძლება, იაპონის არმიაში შემოღებული იყვეს ტყვიამფრქვევის ოცეულები მსროლელ ასეულებში).

ყველა ამ არმიებში არის თითო ტყვიამფრქვევის ასეული ან გუნდი ათასეულში. პოლონეთის არმიაში ტყვიამფრქვევი ასეული ათასეულში არის მხოლოდ ომიანობის დროს, ხოლო მშვიდობიანობის დროს ტყვიამფრქვევი ასეული იმყოფება პოლკში. ტყვიამფრქვევთა რაოდენობა ასეულსა თუ გუნდში სხვადასხვაა.

ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, იაპონიის, პოლონეთისა და რუმინეთის არმიებში—რვა-რვა დაზგის ტყვიამფრქვევია; იტალიის, ფინეთისა და ლატვიის არმიებში—ექვს-ექვსი ტყვიამფრქვევი; ესტონეთის—12 ტყვიამფრქვევი; აქედან ორ-ორი ეძლევა მსროლელ ასეულებს, ხოლო დანარჩენები მოქმედებენ ერთად (ბატარეებად).

ტყვიამფრქვევები სხვადასხვა სისტემისაა. ჩვენს მეზობელ არმიებში ჯერჯერობით სჭარბობს „მაქსიმის“ ტყვიამფრქვევი. წონით თითქმის ერთნაირი არიან; მხოლოდ საფრანგეთის „გორკინსი“ მიდის 7.000 ნაბიჯზე და ამერიკის „ბრაუნინგი“—4.400 ნაბიჯზე.

თავმოყრილი არიან ათასეულებში.

ამრიგად დაზგის ტყვიამფრქვევები თითქმის ყველა არმიებში თავმოყრილია ათასეულებში. ამიტომ მათ საბრძოლო მუშაობაში ჩვენსა და უცხოეთის არმიებში—განსხვავებაა.

თუ რომ ზოგიერთ არმიებში, მაგალ., საფრანგეთის, ამერიკის და სხვა ხელის ტყვიამფრქვევი სჭარბობს, სამაგიეროდ ცეცხლის მხრივ ისინი ჩამორჩებიან დაზგის ტყვიამფრქვევებს.

საბრძოლო მუშაობა.

დაზგის ტყვიამფრქვევების საბრძოლო მუშაობა უცხოეთის არმიებში სწარმოებს ისევე, როგორც ჩვენში.

ისინი ხსნიან ცეცხლს შორი მანძილიდან და აწარმოებენ მას ბატარეებით—8 ან 4 ტყვიამფრქვევით. თავისი ცეცხლით ისინი უნდა დაეხმარონ ქვეითი ჯარს. პოზიცია ტყვიამფრქვევებმა უნდა იცვალონ უფრო იშვიათად, ვიდრე ცეცხლი არ შესწყდეს. ტყვიამფრქვევის მოძრაობა სწარმოებს ფარულად—თითონ, ან ორ-ორი. პოზიციის ირჩევენ სასროლად მოხერხებულსა და მოფარებულს. საბრძოლო მუშაობის მხრივ ყველა უცხოელ არმიების მტყვიამფრქვევები, გარდა რუმინეთისა, მაღლა სდგანან, ვინაიდან მათ კარგი მომზადება აქვთ.

უცხოელები ტყვიამფრქვევის შესახებ.

საინტერესოა როგორ უყურებენ უცხოეთის არმიებში ტყვიამფრქვევს. საფრანგეთის, იაპონიის, ფინეთის, ესტონეთისა და ლატვიის არმიებში ტყვიამფრქვევის ცეცხლს სთვლიან ბრძოლის ძირითად და მთავარ ძალად. პოლონეთისა და რუმინეთის არმიებში ტყვიამფრქვევს მცირე ყურადღება ექცევა. ინგლისისა და ამერიკის არმიებში, რომლებიც მდიდარი არიან ავტომატიური იარაღებით, აძლევენ უპირატესობას სულიერ განწყობილებას, და არა მანქანას. ამიტომაც ეს არმიები მაინც დიდი ყურადღება ექცევა შაბახანას და ყოველთვის ახალისებენ მებრძოლთ შაბახანიდან მარჯვე სროლაში.

საფრანგეთი აიარაღებს პოლონეთს.

ავსტრიის ტერიტორიით გადმოტანილ იქნება პოლონეთში ახალი ყუმბარმტყორცნი ჰაეროპლანები, რომლებიც დაკვეთილი ჰქონდა პოლონეთს საფრანგეთში. 6 დიდი ყუმბარმტყორცნი უკვე მოვიდა ვენის ჰაეროდრომზე. მოელიან კიდევ 26 აპარატს.

ნ. დ. ს. ც. სტამბა სახელმწიფო კნიგოვნების ქ. № 9. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.